| პროგრამის განმახორციელებელი | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური   |  |                        |
|                             | ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება დაგეგმილი ინფრასტრუქტურული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე |  |                        |



|                            |   |
|----------------------------|---|
| პროგრამის აღწერა და მიზანი | განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთადრიცხო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით. |
| მოსალოდნელი შედეგი         | უზრუნველყოფილია შესყიდული საპროექტო დოკუმენტაციის მაღალი ხარისხი.   |

|                                |   |  |                        |
|--------------------------------|---|--|------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება        | კოდი  | სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება | დაფინანსება ათას ლარში |
|                                | 02 06   |  | 293,9                  |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და სოვრციითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური   |  |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი  | ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების და სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოები. |  |                        |
| მოსალოდნელი შედეგი             | ადმინისტრაციულ ერთეულებში მოწესრიგებული ინფრასტრუქტურული სივრცის შექმნა.  |  |                        |

|                                |  |                          |                        |
|--------------------------------|--|--------------------------|------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება        | კოდი   | ა(ა)იპ „კურორტი ბახმარო“ | დაფინანსება ათას ლარში |
|                                | 02 07  |                          | 75,0                   |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „კურორტი ბახმარო“  |                          |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი  | კურორტ ბახმაროს ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ტურისტების რაოდენობის გაზრდა.<br>უზრუნველყოფილია კურორტ ბახმაროს დამსვენებლებისთვის გაუმჯობესებული პირობები და გაზრდილი ტურისტების რაოდენობა მ.შ. ზამთრის სეზონზეც. |                          |                        |
| მოსალოდნელი შედეგი             | უზრუნველყოფილია კურორტ ბახმაროს ინფრასტრუქტურის მოწესრიგება;<br>გაზრდილია ტურისტების რაოდენობა.  |                          |                        |

### მუხლი 17. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 779,6 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაჟკითხით:



| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა | 2022 წლის პროექტი |
|-----------------|-----------------------------------|-------------------|
| 03 00           | დასუფთავება და გარემოს დაცვა      | 779,6             |
| 03 01           | დასუფთავება და ნარჩენების გატანა  | 737,6             |
| 03 02           | მწვანე ნარჩენების მოვლა-პატრონობა | 42,0              |

| პროგრამის დასახელება        | კოდი  | დასუფთავება და ნარჩენების გატანა | დაფინანსება ათას ლარში |
|-----------------------------|---|----------------------------------|------------------------|
|                             | 03 01   |                                  | 737,6                  |
| პროგრამის განმახორციელებელი | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ კომუნალური სამსახური „სხივი“  |                                  |                        |
| პროგრამის აღწერა და მიზანი  | <p>ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. პროგრამის ფარგლებში ხორცილდება დაბასა და მუნიციპალიტეტში შემავალი ადმ. ერთეულებიდან (სადაც განთავსებულია 317ერთეული ნაგავშემკრები ურნა) ნარჩენების შეგროვება და ნაგავსაყრელზე გატანა ყოველდღიურად.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ხორცილდება დაბა ბახმაროდან სეზონის პერიოდში ნარჩენების შეგროვება და ნაგავსაყრელზე გატანა ყოველდღიურად და ცენტრალური ქუჩების დაგვა-დასუფთავება.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ხორცილდება დაბის ცენტრალური ქუჩების დაგვა-დასუფთავება.</p> <p>პროგრამის ფარგლებში პერიოდულად ხორცილდება მუნიციპალიტეტში შემოსასვლელ და გასასვლელ მთავარ გზაზე ასევე ბახმაროს სეზონზე კურორტისკენ მიმავალ გზაზე გადაყრილი ნარჩენების შეგროვება და ნაგავსაყრელზე გატანა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობა, სასაფლაოების გაწმენდა, დასუფთავება, მოცეკვა და შესაწამლი სამუშაოების შესრულება. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება აღნიშნული სამუშაოებისათვის ხელშეკრულებით აყვანილ პირთა ხელფასები, სეზონურად საჭიროებისამებრ.</p> <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დროულად განხორციელდება ნარჩენების შეგროვება და ნაგავსაყრელზე გატანა რაც მაქსიმალურად უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას.</p> |                                  |                        |
| მოსალოდნელი შედეგი          | მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება დასუფთავება და ნარჩენების გატანა; დასუფთავდება მუნიციპალიტეტის დაბისა და ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიები.  |                                  |                        |

| პროგრამის დასახელება        | კოდი   | დასუფთავება და ნარჩენების მოვლა-პატრონობა | დაფინანსება ათას ლარში |
|-----------------------------|--|---|------------------------|
|                             | 03 02  |   | 42,0                   |
| პროგრამის განმახორციელებელი | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ კომუნალური სამსახური „სხივი“   |   |                        |
|                             | <p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკების და სკვერების მოვლა-პატრონობა კერძოდ გასვლა-ფორმირება, შებარვა, გაცეკვა, დასუფთავება, საფეხმავლო ბილიკების გაწმენდა სარეველებისგან, სარეველების შეწამვლა, ახალი ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარჩენების დარგვა.</p> |   |                        |



|                            |  |
|----------------------------|--|
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ასევე ხორციელდება დუმბაძის ქუჩაზე და კოსტავას ქუჩაზე ხე-მცენარეები შეთეთრების სამუშაოები.<br><br>მუნიციპალიტეტში არსებული სკვერები და პარკები იქნება მოვლილი და დასუფთავებული  |
| მოსალოდნელი შედეგი         | დაბისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე დაირგვება ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავები; მოხდება მათი მოწყვა, შხამ ქიმიკატების შეტანა და ნიადაგის გაფხვიერება. განხორციელდება დაბისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და გზის ნაპირის გაცეღვითი სამუშაოები. |

### მუხლი 18. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1919,5 ათასი ლარი. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა           | 2021 წლის პროექტი |
|-----------------|---|-------------------|
| 04 00           | განათლება                                   | 1919,5            |
| 04 01           | სკოლამდელი განათლების დაფინანსება           | 1550,0            |
| 04 02           | განათლების სისტემის ხელშეწყობა              | 338,9             |
| 04 04           | საჯარო მოსამსახურეთა გადამზადების პროგრამა. | 30,6              |

|                             |   |                                   |                        |
|-----------------------------|---|-----------------------------------|------------------------|
| პროგრამის დასახელება        | კოდი  | სკოლამდელი განათლების დაფინანსება | დაფინანსება ათას ლარში |
|                             | 04 01   |                                   | 1550,0                 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „მომავალი“  |                                   |                        |
| პროგრამის აღწერა და მიზანი  | <p>სკოლამდელი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულება „მომავალი“-ს მიზანია ბავშვთა ჰარმონიული განვითარება და სკოლისათვის მომზადება,მისი საქმიანობა ემყარება ჰუმანიზმის,დემოკრატიულობის,ტოლერანტობის და ბავშვთა უფლებების დაცვის პრინციპებს.სკოლამდელი ასაკის ბავშვის ფიზიკური,გონებრივი,ზნეობრივი და ესტეტიკური აღზრდა,ნებისყოფის ფორმირება,სხვისი აზრის პატივისცემის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, ბავშვის კეთილდღეობაზე ზრუნვა, ოჯახთან ურთიერთკავშირი. საბავშვო ბაღები ახორციელებენ სკოლამდელი ასაკის ბავშვთა საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროგრამებს სასკოლო ასაკის მიღწევამდე. უნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 20 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 535 ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.</p> |                                   |                        |



|                    |   |
|--------------------|---|
| მოსალოდნელი შედეგი | გაუმჯობესებულია საბავშვო ბაღებში საადმინისტრაციო პროცესი;<br>სრულყოფილია განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; |
|--------------------|---|

|                             |   |                                |                        |
|-----------------------------|---|--------------------------------|------------------------|
| პროგრამის დასახელება        | კოდი  | განათლების სისტემის ხელშეწყობა | დაფინანსება ათას ლარში |
|                             | 04 02   |                                | 338,9                  |
| პროგრამის განმახორციელებელი | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია  |                                |                        |
| პროგრამის აღწერა და მიზანი  | გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაწყებითი და ზოგადი განათლების მქონე დაწესებულებების სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა. განხორციელდება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს საჯარო სკოლებში მოსწავლეების უფრო გააქტიურებას, სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილებასა და სხვა ღონისძიებების მოწყობას. |                                |                        |
| მოსალოდნელი შედეგი          | საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო პროცესის, ასევე არასაკოლო განათლების მსურველთა მოტივაციის ამაღლება, აღსაზრდელთა და მოზარდთა შემეცნებით-საგანმანათლებლო ღონის ამაღლება.   |                                |                        |

|                             |  |  |                        |
|-----------------------------|--|--|------------------------|
| პროგრამის დასახელება        | კოდი   | საჯარო მოსამსახურეთა გადამზადების პროგრამა | დაფინანსება ათას ლარში |
|                             | 04 04  |  | 30,6                   |
| პროგრამის განმახორციელებელი | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია   |  |                        |
| პროგრამის აღწერა და მიზანი  | საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს შესაბამისად პროგრამის ფარგლებში მოხდება მერიისა და საკრებულოს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სხვადასხვა მიმართულებით კადრების გადამზადება |  |                        |
| მოსალოდნელი შედეგი          | მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ხელისუფლებაში თანამშრომელთა ეფექტიანობის გაზრდა   |  | დადასაქმებულ           |

**მუხლი 19. კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები**

კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2555,0 ათასი ლარი. კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა | 2022 წლის პროექტი |
|-----------------|-----------------------------------|-------------------|
| 05 00           | კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი   | 2555,0            |
| 05 01           | სპორტის განვითარების ხელშეწყობა   | 870,0             |
|                 |                                   | 220,0             |



|             |  |        |
|-------------|--|--------|
| 05 01 04 03 | ა(ა)იპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ბახმარო                                 |        |
| 05 01 05    | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი               | 475,0  |
| 05 01 06    | სპორტული და საბავშვო ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა                            | 25,0   |
| 05 01 07    | ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სარაგბო კლუბი „ლონე“                                       | 150,0  |
| 05 02       | კულტურის განვითარების ხელშეწყობა   | 1575,0 |
| 05 02 01 02 | კულტურის ცენტრი  | 780,0  |
| 05 02 09    | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლები   | 390,0  |
| 05 02 10    | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი | 405,0  |
| 05 03       | საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა                                     | 50,0   |
| 05 03 01    | ახალგაზრდული საქმიანობის ხელშეწყობა  | 50,0   |
| 05 04       | რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა  | 10,0   |

|                             |   |                                 |                        |
|-----------------------------|---|---------------------------------|------------------------|
| პროგრამის დასახელება        | კოდი  |                                 | დაფინანსება ათას ლარში |
|                             | 05 01   | სპორტის განვითარების ხელშეწყობა | 870,0                  |
| პროგრამის განმახორციელებელი | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ბახმარო , ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი, ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სარაგბო კლუბი „ლონე“   |                                 |                        |
| პროგრამის აღწერა და მიზანი  | <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობა, სპორტულ ასოციაციასთან, კავშირებთან, სპორტულ ფედერაციებთან და სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. კლუბების, ნაკრები გუნდების მომზადება და მონაწილეობა ქვეყნის და საერთაშორისო ასპარეზობებში.</p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული სკოლებისა და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. განხორციელდება ლელობურთის და რაგბის განვითარების ხელშეწყობა</p> |                                 |                        |
| მოსალოდნელი შედეგი          | უზრუნველყოფილია მოზარდებში ჯანსაღი გარემოს შექმნა და სპორტის პოპულარიზაცია, სპორტულად აქტიური ახალგაზრდების რაოდენობის ზრდა.  |                                 |                        |



|                                |  |   |                           |
|--------------------------------|--|---|---------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება        | კოდი   | <b>ა(ა)იპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ბახმარო</b> | დაფინანსება<br>ათას ლარში |
|                                | <b>05 01 04 03</b>   |   | <b>220,0</b>              |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | <b>ა(ა)იპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ბახმარო</b>  |   |                           |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი  | ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ბავშვთა საფეხბურთო აკადემია, სადაც სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიებში 120 მოზარდია გაერთიანებული. |   |                           |
| მოსალოდნელი შედეგი             | ბავშვთა საფეხბურთო აკადემიაში ჩართული მოზარდების რაოდენობის გაზრდა.  |   |                           |

|                                |   |   |                           |
|--------------------------------|---|---|---------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება        | კოდი  | <b>ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი</b> | დაფინანსება<br>ათას ლარში |
|                                | <b>05 01 05</b>   |   | <b>475,0</b>              |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | <b>ა(ა)იპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი</b>  |   |                           |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი  | <p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი, რომელიც ემსახურება მომავალი თაობების პროფესიონალ სპორტსმენებად ჩამოყალიბებას, მოეწყობა შეჯიბრებები :</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ნარდი - მუნიციპალიტეტის პირველობა.</li> <li>• ბილიარდი - მუნიციპალიტეტის პირველობა.</li> <li>• ჭადრაკი - მუნიციპალიტეტის პირველობა და რეგიონალურ შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად მოჭადრაკეთა მივლინება.</li> <li>• მაგიდის ჩოგბურთი - მუნიციპალიტეტის პირველობა.</li> <li>• საქართველოს დამოუკიდებლობის დღის 26 მაისისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიებები ცხენოსნობაში, ლელობურთში, ბაგირის გადაძაღვაში და სხვა.</li> <li>• მუნიციპალიტეტის პირველობა ფრენბურთში - რუსეთის აგრესიის შედეგად სამაჩაბლოში დაღუპული ჩოხატაურელი მეგრძოლების ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი.</li> <li>• ტრადიციული დოლი და სხვა ღონისძიებები, კურორტ ბახმაროში ფერისცვალების დღესასწაულთან დაკავშირებით.</li> <li>• აფხაზეთის ომში დაღუპული ჩოხატაურელი მეგრძოლების ხსოვნის ტურნირი ფეხბურთში.</li> <li>• ბაზიერეობა - მუნიციპალიტეტის პირველობა და სხვა ღონისძიებები.</li> <li>• აღნიშნული ცენტრი აერთიანებს ძიუდოს, ბალახის ჰოკეის, მძლეოსნობის, ბერძნულ-რომაული, თავისუფალი ჭიდაობის, ტაილანდური კრივის, ქართული ჭიდაობის, კალათბურთის, ფრენბურთის ჭადრაკის სპორტულ წრეებს. სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს 12 სპორტული სახეობის 17 სექცია, სადაც გაერთიანებულია 315 მოსწავლე სპორტსმენი.</li> </ul> |   |                           |
| მოსალოდნელი შედეგი             | დამკვიდრებულია მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესი და გაზრდილია ინტერესი სპორტული ღონისძიებების მიმართ.   |   |                           |

|                         |      |  |                           |
|-------------------------|------|--|---------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | <b>სპორტული და საბავშვო ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა</b> | დაფინანსება<br>ათას ლარში |
|-------------------------|------|--|---------------------------|



|                                |  |  |                        |
|--------------------------------|--|--|------------------------|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | 05 01 06   | კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები | 25,0                   |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი  | ქვეპროგრამის მიზანია სპორტული და საბავშვო ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა. სპორტული მოედნების მზადყოფნა დაგეგმილი და ჩასატარებელი მატჩებისათვის და ღონისძიებებისათვის.  |  |                        |
| მოსალოდნელი შედეგი             | მუნიციპალიტეტის სპორტული ობიექტები შეუფერხებლად უმასპინძლებს წლის განმავლობაში გასამართ ყველა ღონისძიებას.   |  |                        |
| ქვეპროგრამის დასახელება        | კოდი   | ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სარაგბო კლუბი „ღონე“ | დაფინანსება ათას ლარში |
|                                | 05 01 07   |  | 150,0                  |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სარაგბო კლუბი „ღონე“   |  |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი  | ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სარაგბო კლუბი „ღონე“ სარაგბო კლუბი „ღონე“ მიზნად ისახავს რაგბის პოპულარიზაციას, ჩოხატაურის რაგბის ტრადიციების აღდგენა განვითარებას, მასობრივი სპორტის ხელშეწყობას. |  |                        |
| მოსალოდნელი შედეგი             | დამკვიდრებულია მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესი და გაზრდილია ინტერესი სპორტული ღონისძიებების მიმართ.  |  |                        |

|                             |  |                                  |                        |
|-----------------------------|--|----------------------------------|------------------------|
| პროგრამის დასახელება        | კოდი   |                                  | დაფინანსება ათას ლარში |
|                             | 05 02  | კულტურის განვითარების ხელშეწყობა | 1575,0                 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ - კულტურის ცენტრი, ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლები, ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი  |                                  |                        |
| პროგრამის აღწერა და მიზანი  | მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამისა და სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები ჩატარება.<br><br>პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების განხორციელებისთვის საჭირო ხარჯები, დაფინანსდება კულტურის ცენტრი, სახელოვნებო სკოლების გაერთიანება, არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი, მოხდება საახალწლო ღონისძიებების გამართვა. |                                  |                        |



მოსალოდნელი შედეგი

მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების შენარჩუნება და დაცვა, სხვადასხვა გასართობი და კულტურული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა.

|                                |  |                 |                        |
|--------------------------------|--|-----------------|------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება        | კოდი   | კულტურის ცენტრი | დაფინანსება ათას ლარში |
|                                | 05 02 01 02  |                 | 780,0                  |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ კულტურის ცენტრი   |                 |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი  | <p>ქვეპროგრამის ფარგლებში მოეწყობა შემდეგი ღონისძიებები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საშობაო, სახალწლო კონცერტი „შობის ჯადოსნური ღამე“ 6-7 იანვარი.</li> <li>• წლის ნომინაციები 14 იანვარი.</li> <li>• დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება 3 მარტი.</li> <li>• თეატრის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი აქცია 27 მარტი.</li> <li>• „დღე სამაგალითო ერთობის“ 27 მარტი.</li> <li>• დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება 14 აპრილი.</li> <li>• ღონისძიება ღია ცის ქვეშ - „აღდგომის კვირა“</li> <li>• დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება 26 მაისი.</li> <li>• „ვაჩუქოთ ბედნიერება ბავშვებს“ 1 ივნისი.</li> <li>• „ვერეს ხეობის ტრაგედია“ - ივლიტა ჯიბუტის ხსოვნის საღამო 13 ივნისი.</li> <li>• „შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს“ 14 ივნისი.</li> <li>• სპექტაკლის პრემიერა.</li> <li>• ანსამბლებისა და სახალხო თეატრის გასვლითი კონცერტები სოფლებში</li> <li>• ფერიცვალეების დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღონისძიება კურორტ ბახმაროში - 19 აგვისტო.</li> <li>• ლოტბარ რამინ მიქაბერიძის საღამო.</li> <li>• შემოდგომის ზეიმი.</li> <li>• გიორგობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი კონცერტი 23 ნოემბერი.</li> <li>• საანგარიშო კონცერტი.</li> <li>• კონცერტი ღია ცის ქვეშ 31 დეკემბერი.</li> </ul> |                 |                        |
| მოსალოდნელი შედეგი             | უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტში ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა, დაფინანსებულია სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები   |                 |                        |

|                                |  |  |                        |
|--------------------------------|--|--|------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება        | კოდი   | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლები | დაფინანსება ათას ლარში |
|                                | 05 02 09   |  | 390,0                  |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლები  |  |                        |
|                                | <p>მოსწავლეების მუსიკალურ ცოდნის გააღრმავება სხვადასხვა ჟანრებში: კლასიკურ, ვოკალურ, საფორტეპიანო და საორკესტრო ჯგუფებში.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება, მოსწავლეები მუსიკალურ ცოდნას გაიღრმავებენ სხვადასხვა ჟანრებში: კლასიკურ, ვოკალურ, საფორტეპიანო და საორკესტრო ჯგუფებში.</p> <p>მოეწყობა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მონაწილეობა გამოფენა-კონკურსში „ზამთრის ვერნისაჟი“</li> <li>• მონაწილეობის მიღება ქ. თბილისში საქართველოს ხელოვნება კავშირის „ხელოვნება მომავლისათვის“ „მომავლის ვარსკვლავები: მე-14 რესპუბლიკურ ფესტივალი შესარჩევ ტურში.</li> <li>• მონაწილეობის მიღება ჩეხოსლოვაკიის საერთაშორისო გამოფენა კონკურსში „ლიდიცე-2022“</li> <li>• სტუმრად ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში(თემა, ჩანახატები)</li> <li>• საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი შიდა და სარაიონო ღონისძიება</li> <li>• სამუსიკო სკოლის საანგარიშო კონცერტი სინფონიურ ორკესტრთან ერთად</li> <li>• კონკურსი ეტიუდების დაკვრაში</li> </ul> |  |                        |



|                               |   |
|-------------------------------|---|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | <ul style="list-style-type: none"> <li>• გიორგობისადმი მიძღვნილი ღია კონცერტი</li> <li>• ღია საკარნავალო კონცერტი</li> </ul> <ul style="list-style-type: none"> <li>• საქართველოს ხელოვანთა კავშირის „ხელოვნება მომავლისათვის“ „მომავლის ვარსკვლავები“მე-14 რესპუბლიკურ ფესტივალის გალა კონცერტში მონაწილეობა.</li> </ul> <ul style="list-style-type: none"> <li>• საგაზაფხულო ერთკვირიანი პლენერი ბუნებაში</li> </ul> <ul style="list-style-type: none"> <li>• კონკურსი „ნორჩი დეკლამატორი 2022“</li> </ul> <ul style="list-style-type: none"> <li>• საქართველოს საგუნდო საზოგადოების , საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების მე-6 ეროვნული კონკურსის დაჯილდოვება და გალა კონცერტი.</li> <li>•</li> <li>• პროექტი „მეგზური“ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურულ ძეგლებსა და ისტორიულ ადგილებზე ინფორმაციის მოძიება, შესწავლა.</li> </ul> |
| მოსალოდნელი შედეგი            | გაღრმავებულია მოზარდებში მუსიკალურ ცოდნა სხვადასხვა ჟანრებში: კლასიკურ, ვოკალურ, საფორტეპიანო და საორკესტრო ჯგუფებში  |

| ქვეპროგრამის დასახელება        | კოდი   | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი        | დაფინანსება ათას ლარში |
|--------------------------------|--|---|------------------------|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | 05 02 10   | ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი | 405,0                  |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი  | <p>მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა და პოპულარიზაცია; საბიბლიოთეკო გაერთიანების განვითარების ხელშეწყობა და არაფორმალური განათლების განვითარება.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მთლიანად ფინანსდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის განათლების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი განხორციელებული ღონისძიებები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საახალწლო ღონისძიება</li> <li>• შეხვედრა ღვაწლმოსილ ადამიანებთან</li> <li>• 25 თებერვალი - ოკუპაციის დღე</li> <li>• ჩოხატაურში მცხოვრები მხატვრების კატალოგის გამოცემა</li> <li>• რეწვის ნიმუშების გამოფენა „ფერისცვალება“</li> <li>• ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი გამოფენა</li> <li>• კალანდა გურიაში</li> <li>• ლეგენდები სახალხო გმირებზე „ბუკისციხელი მარია“</li> </ul> <p>საგანმანათლებლო ღონისძიება ქართული ენის დღესთან დაკავსირებით</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საგანმანათლებლო ღონისძიება „წკეპლის ჭურჭელი“</li> <li>• სოფლად მცხოვრებ ქალთა საერთაშორისო დღის აღნიშვნა</li> <li>• საგანმანათლებლო ღონისძიება ქართული ენის დღესთან დაკავსირებით.</li> <li>• მთის საერთაშორისო დღე - ზემო გურიის მთიანი სოფლების ისტორია</li> <li>• მოსე გოგიბერიძის საიუბილეო საღამო</li> <li>• ნოდარ დუმბაძის იუბილე</li> <li>• საჯარო ლექცია ერისთავების შესახებ</li> <li>• საჯარო ლექცია ნიკო მარის სახლ-მუზეუმში.</li> <li>• საუბრები მწერლის სახლ-მუზეუმში-შეხვედრა მწერლებთან.</li> </ul> |   |                        |



მოხდება საცნობარო და სპეც. ლიტერატურის, ჟურნალ გაზეთების, წიგნების შეძენა, რაც უზრუნველყოფს მკითხველთა მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

|                    |   |
|--------------------|---|
| მოსალოდნელი შედეგი | დაცულია მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, დაფინანსებულია საბიბლიოთეკო გაერთიანება და გაზრდილია არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობა |
|--------------------|---|

|                             |   |  |                        |
|-----------------------------|---|--|------------------------|
| პროგრამის დასახელება        | კოდი  |  | დაფინანსება ათას ლარში |
|                             | 05 03   | საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა | 50,0                   |
| პროგრამის განმახორციელებელი | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია  |  |                        |
| პროგრამის აღწერა და მიზანი  | ახალგაზრდა თაობის მეტი ჩართულობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.<br>პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ინტელექტუალურ-შემოქმედებითი ღონისძიებები, სპორტსმენთა დაჯილდოება, წარმატებული ახალგაზრდების დაფინანსება, საქართველოს კუთხეების ღირსშესანიშნაობების დათვალიერება, დამსახურებული პედაგოგების დაჯილდოება და სხვა ღონისძიებები. განხორციელდება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს საჯარო სკოლებში მოსწავლეების უფრო გააქტიურებას, ასევე სხვადასხვა ღონისძიებების მოწყობას. |  |                        |
| მოსალოდნელი შედეგი          | გაზრდილია ახალგაზრდების საზოგადოებრივ ღონისძიებებში ჩართულობა და უზრუნველყოფილია ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა   |  |                        |

|                             |   |  |                        |
|-----------------------------|---|--|------------------------|
| პროგრამის დასახელება        | კოდი  |  | დაფინანსება ათას ლარში |
|                             | 05 03 01  | ახალგაზრდული საქმიანობის ხელშეწყობა ხელშეწყობა | 50,0                   |
| პროგრამის განმახორციელებელი | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია  |  |                        |
| პროგრამის აღწერა და მიზანი  | ახალგაზრდა თაობის მეტი ჩართულობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.<br>პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სივრცის შექმნა, ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი იდეები/ინიციატივები, შეიქმნება ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო. |  |                        |
| მოსალოდნელი შედეგი          | შექმნილია ახალგაზრდული სივრცე, გაზრდილია ახალგაზრდების ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო შექმნილია და ახალგაზრდული საქმიანობა ხელშეწყობილია.   |  |                        |

|                      |                                  |                                     |                        |
|----------------------|----------------------------------|-------------------------------------|------------------------|
| პროგრამის დასახელება | კოდი                             |                                     | დაფინანსება ათას ლარში |
|                      | 05 04                            | რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა | 10,0                   |
| პროგრამის            | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია |                                     |                        |



|                            |  |
|----------------------------|--|
| განმახორციელებელი          |  |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა.<br>პროგრამის ფარგლებში მოხდება ყოველკვარტლურად შემოქმედის ეპარქიის განვითარების ფონდის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა რომელიც მოხმარდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების დაფინანსებას. |
| მოსალოდნელი შედეგი         | რუნველყოფილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა.   |

## მუხლი 20. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **1234,0** ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა   | 2022 წლის პროექტი |
|-----------------|---|-------------------|
| 06 00           | მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა  | 1234,0            |
| 06 01 01        | საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა   | 140,0             |
| 06 01 02        | კორონა ვირუსის (COVID 19) გავრცელების საწინააღმდეგოდ გასაწევი ღონისძიებების დაფინანსება( თანადაფინანსება)   | 40,0              |
| 06 02           | სოციალური პროგრამები  | 1054,0            |
| 06 02 01        | დაკრძალვის ხარჯი  | 2,0               |
| 06 02 03        | სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი, მძიმე საცხოვრებელ და ეკონომიკურ პირობებში მყოფი ოჯახებისადმი ერთჯერადი დახმარება, გადაუდებელ შემთხვევაში ბინის შესყიდვის ან დაქირავების ხარჯი | 160,0             |
| 06 02 04        | დევნილთა დახმარება  | 11,0              |
| 06 02 05        | საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარება   | 21,0              |
| 06 02 06        | სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ხარჯი  | 450,0             |
| 06 02 07        | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა  | 250,0             |
| 06 02 08        | გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა  | 20,0              |



|          |  |       |
|----------|--|-------|
| 06 02 09 | სოციალური პრობლემების და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს განვითარების ხელშეწყობის მიზნით პროგრამების თანადაფინანსება | 140,0 |
|----------|--|-------|

|                             |  |                                   |                        |
|-----------------------------|--|-----------------------------------|------------------------|
| პროგრამის დასახელება        | კოდი   |                                   | დაფინანსება ათას ლარში |
|                             | 06 01 01   | საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა | 140,0                  |
| პროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი  |                                   |                        |
| პროგრამის აღწერა და მიზანი  | <p>სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას.</p> <p>პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, აღნიშნულ ფარგლებში დაფინანსდება</p> <p>საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური, კერძოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;</li> <li>• დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;</li> <li>• მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მაცნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;</li> <li>• სადუზინფექციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება;</li> <li>• ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდებ დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;</li> <li>• მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები. კორონა ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სადუზინფექციო და სხვა სამუშაოების ჩატარება.</li> </ul> |                                   |                        |
| მოსალოდნელი შედეგი          | უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდები დაავადებების პრევენცია და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვა.  |                                   |                        |
|                             |  |                                   |                        |

|                                |  |  |                        |
|--------------------------------|--|--|------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება        | კოდი   | კორონა ვირუსის (COVID 19) გავრცელების საწინააღმდეგოდ გასაწევი ღონისძიებების დაფინანსება; თანადაფინანსება | დაფინანსება ათას ლარში |
|                                | 06 01 02   |  | 40,0                   |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური |  |                        |



|                               |   |
|-------------------------------|---|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | .მუნიციპალიტეტის მერიას თანადაფინანსებას გაუწევს კორონა ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგოდ ჩასატარებელ ღონისძიებებს, რაც ხელს შეუწყობს ინფექციის მართვას და ნაკლებ გავრცელებას. |
| მოსალოდნელი შედეგი            | მუნიციპალიტეტში ეპიდემიისაგან დაცული მოსახლეობა.  |

|                             |  |                      |                        |
|-----------------------------|--|----------------------|------------------------|
| პროგრამის დასახელება        | კოდი   |                      | დაფინანსება ათას ლარში |
|                             | 06 02  | სოციალური პროგრამები | 1054,0                 |
| პროგრამის განმახორციელებელი | <b>ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური</b>  |                      |                        |
| პროგრამის აღწერა და მიზანი  | <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა.</p> <p>პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ მიზნობრივი ტრანსფერით, ასევე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხებით. პროგრამა ითვალისწინებს სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველ პირთა მდგომარეობის გაუმჯობესების, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, დევნილთა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარებას, სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დახმარებას, სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.</p> |                      |                        |
| მოსალოდნელი შედეგი          |  |                      |                        |

|                                |   |                         |                        |
|--------------------------------|---|-------------------------|------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება        | კოდი  | <b>დაკრძალვის ხარჯი</b> | დაფინანსება ათას ლარში |
|                                | 06 02 01  |                         | 2,0                    |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | <b>ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური</b>   |                         |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი  | ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მონაწილე ვეტერანებისა და საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილე პირების დაკრძალვის (სარიტუალო) ხარჯის დაფინანსება                            |                         |                        |
| მოსალოდნელი შედეგი             | ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსებულია მეორე მსოფლიო ომში მონაწილე ვეტერანებისა და ასევე საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილე პირების დაკრძალვის (სარიტუალო) ხარჯის დაფინანსება |                         |                        |



|                                |  |   |                        |
|--------------------------------|--|---|------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება        | კოდი   | სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი, მძიმე საცხოვრებელ და ეკონომიკურ პირობებში მყოფი ოჯახებისადმი ერთჯერადი დახმარება, გადაუდებელ შემთხვევაში ბინის შესყიდვის ან დაქირავების ხარჯი | დაფინანსება ათას ლარში |
|                                | 06 02 03   |   | 160,0                  |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური   |   |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი  | <p>სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისა და მძიმე ეკონომიკურ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარება.</p> <p>ქვეპროგრამით გათვალისწინებულია დახმარება გაეწიოს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებს 5000 ლარამდე ერთჯერადად, ერთ ბენეფიციარზე გამოიყოფა 500 (ხუთასი) ლარიდან 5000 (ხუთათასი) ლარის ოდენობით.. ბინის ქირა 130 ლარი თვეში (უბინაოდ და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მოქალაქეებისათვის).</p> |   |                        |
| მოსალოდნელი შედეგი             | დახმარება გაეწიოს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახებს  |   |                        |

|                                |   |                     |                        |
|--------------------------------|---|---------------------|------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება        | კოდი  | დევენილთა დახმარება | დაფინანსება ათას ლარში |
|                                | 06 02 04  |                     | 11.0                   |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური  |                     |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი  | <p>ქვეპროგრამით დახმარება ეძლევა სამაჩაბლოდან და აფხაზეთიდან დევნილ ოჯახებს ზამთრისათვის სათბობის შექმნაზე. 200 ლარის ოდენობით, სხვა გადაუდებელი საჭიროებებიდან გამომდინარე არაუმეტეს 100 (ასი) ლარი, დაკრძალვის ხარჯი ერთჯერადად არაუმეტეს 300 ლარისა.</p> |                     |                        |
| მოსალოდნელი შედეგი             | დახმარება გაეწიოს სამაჩაბლოდან და აფხაზეთიდან დევნილ ოჯახებს, შექმნილია ზამთრისთვის სათბობი საშუალებები და გაწეულია დევნილთათვის ფულადი დახმარება.  |                     |                        |

|                                |  |   |                        |
|--------------------------------|--|---|------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება        | კოდი   | საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარება | დაფინანსება ათას ლარში |
|                                | 06 02 05   |   | 21.0                   |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური   |   |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი  | <p>ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება ეძლევა 1989 წლის 9 აპრილს მოწამლულ ორ პიროვნებას და ერთი დაღუპულის ოჯახს ერთჯერადად 500 ლარი, მოწამლულს ყოველთვიურად 150 ლარი, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაღუპულთა 3 ოჯახს ერთჯერადად 500 ლარი, აფხაზეთის დაცემის დღესათან დაკავშირებით ომში დაღუპულთა 8 ოჯახს ერთჯერადად 500 ლარი, ჭრილობების შედეგად გარდაცვლილი ერთი მეომრის ერთ ოჯახს ყოველთვიურად 300 ლარი, ზამთრის სეზონთან დაკავშირებით სათბობის შესამენად თითოეულ ოჯახს 200 ლარი.</p> |   |                        |



|                    |   |
|--------------------|---|
